



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 354

ქალაქი ქუთაისი      25      იანვარი      2017 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, საქართველოს პარლამენტის ქუთაისის მაჟორიტარი წევრის, გენადი მარგველაშვილის ბიუროსათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორებისა და მუნიციპალიტეტის ქონების ტოლფასი ქონების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემის დამატებითი წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის N65 დადგენილებისა და საქართველოს პარლამენტის ქუთაისის მაჟორიტარი წევრის, გენადი მარგველაშვილის 20.12.2016 წლის N30476/01 მომართვის შესაბამისად:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, საქართველოს პარლამენტის ქუთაისის მაჟორიტარი წევრის, გენადი მარგველაშვილის ბიუროსათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი N1/წერეთლის ქუჩა N2-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე, ორი ოთახის (საერთო ფართობი - 51.1 კვ.მ.) სარგებლობაში გადაცემის თაობაზე /საკადასტრო კოდი N03.03.21.156.01.507/.

**მუხლი 2.** სარგებლობაში გადაცემულ ფართში განთავსდეს საქართველოს პარლამენტის ქუთაისის მაჟორიტარი წევრის, გენადი მარგველაშვილის ბიურო.

**მუხლი 3.** ქონებით სარგებლობის ვადა განისაზღვროს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის ვადით.

**მუხლი 4.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურდულიამ უზრუნველყოს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

**მუხლი 5.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 6.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 7.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი